



ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო
ქალაქ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულო

3500, საქართველო, ქ. ოზურგეთი, კოსტავას ქ.
№1 Kostava str. Ozurgeti, 3500, Georgia.

www.ozurgeti.gov.ge

ქ. ოზურგეთი

N 15
21/07/2017

15-03-4-201707211705



დადგენილება №15
21 ივლისი 2017 წელი

„ქალაქ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის 2017 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 20 დეკემბრის N24 დადგენილებაში ცვლილებებისა დამატებების შეტანის თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“-ს 24-ე მუხლის პირველი ნაწილის „დ.ა“ ქვეპუნქტის, 61-ე მუხლის 1-ლი და მე-2 ნაწილის და „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 მუხლის 4-ე პუნქტის თანახმად, ქალაქ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულომ

და ა დ გ ი ნ ა :

მუხლი 1. შეტანილი იქნეს ცვლილებები და დამატებები „ქალაქ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის 2017 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 20 დეკემბრის N24 დადგენილებაში, (www.matsne.gov.ge, 23/12/2016, 190020020.35.171.016129) კერძოდ:

გაიზარდოს ბიუჯეტის შემოსავლები:

- სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერი - 76,6 ათ. ლარით (გრანტების მუხლი);
- საერთაშორისო ორგანიზაციებიდან და სხვა ქვეყნის მთავრობიდან მიღებული გრანტები -16.1 ათ. ლარით (გრანტების მუხლი).


შესაბამისად გაიზარდოს ბიუჯეტის ხარჯები:

- **პროგრამული კოდი 03 01** - საგზაო ინფრასტრუქტურის მშენებლობა რეაბილიტაცია და მოვლა-შენახვა - 58,2 ათ.ლარით (არაფინანსური აქტივების ზრდა);
- **პროგრამული კოდი 03 02 04** - კეთილმოწყობის სამუშაოები - 18,4 ათ. ლარით (არაფინანსური აქტივების ზრდა).
- **პროგრამული კოდი 05 02 01**-კულტურის დონისძიებების დაფინანსება -16.1 ათ.ლარით (საქონელი და მომსახურება).

მუხლი 2. დადგენილების დანართი ჩამოყალიბდეს თანდართული რედაქციით.

მუხლი 3. დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

ნინო გოგუაძე



საკრებულოს თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებელი
ხელმძღვანელობა